21.03.2022

მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები საქართველოში

2022 წლის თებერვალი

ძირითადი შედეგები

- **მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე** წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 2.6 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით შემცირდა 4.0 პროცენტით;

- **სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი** წინა თვესთან და წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით გაიზარდა 0.1 პროცენტით;

- **მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე** წინა თვესთან შედარებით შემცირდა 2.4 პროცენტით, ხოლო გასული წლის შესაბამის თვესთან შედარებით გაიზარდა 11.0 პროცენტით.

მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები



21.03.2022

მწარმოებელთა ფასების ინდექსი
სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურებაზე **წინა თვესთან შედარებით** გაიზარდა 2.6 პროცენტით. ფასების 0.1 პროცენტით კლება დაფიქსირდა სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე. ამასთან, ფასები 13.1 პროცენტით გაიზარდა საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე, ხოლო წყლის ტრანსპორტის მომსახურებაზე სახეზეა ფასების 2.3 პროცენტიანი კლება. აღსანიშნავია ასევე ფასების კლება დასაწყობებასა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებაზე 0.3 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი შემცირდა 4.0 პროცენტით. ფასების კლება დაფიქსირდა სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურებისა და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურების ჯგუფზე 0.7 პროცენტით, წყლის ტრანსპორტის მომსახურებაზე 9.1 პროცენტით, დასაწყობებასა და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურებაზე 4.4 პროცენტით, ხოლო საჰაერო ტრანსპორტის მომსახურებაზე 15.8 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2022 წლის თებერვალში სატრანსპორტო და სასაწყობო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2021 წლის თებერვალთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
H	**სულ**	**96.0**	**-4.00**
49	სახმელეთო ტრანსპორტის მომსახურება და მილსადენებით ტრანსპორტირების მომსახურება	99.3	-0.54
50	წყლის ტრანსპორტის მომსახურება	90.9	-0.35
51	საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება	84.2	-3.04
52	დასაწყობება და დამხმარე სატრანსპორტო მომსახურება	95.6	-0.08

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

21.03.2022

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ინდექსი

სატელეკომუნიკაციო მომსახურების მწარმოებელთა ფასების ჯამური ინდექსი **წინა თვესთან შედარებით** გაიზარდა 0.1 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურების ფასები გაიზარდა 3.0 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ჯამური ინდექსი გაიზარდა ასევე 0.1 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში სადენიან სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასები გაიზარდა 0.1 პროცენტით, ხოლო სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე 2.8 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2022 წლის თებერვალში სატელეკომუნიკაციო მომსახურებაზე ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2021 წლის თებერვალთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
J	**სულ**	**100.1**	**0.07**
61.2	სადენიანი სატელეკომუნიკაციო მომსახურება	100.1	0.06
61.9	სხვა სატელეკომუნიკაციო მომსახურება	102.8	0.01

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

21.03.2022

მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე

მწარმოებელთა ფასების ინდექსი დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე **წინა თვესთან შედარებით** შემცირდა 2.4 პროცენტით. ფასების კლება დაფიქსირდა დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურებაზე 4.7 პროცენტით, ხოლო საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურებაზე ფასები გაიზარდა 0.6 პროცენტით.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ინდექსი გაზრდილია 11.0 პროცენტით. აღნიშნულ პერიოდში საკვების და სასმელების მიწოდებით მომსახურების ფასები გაიზარდა 12.2 პროცენტით, ხოლო დროებითი განთავსების საშუალებებით მომსახურების ფასები 9.7 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2022 წლის თებერვალში დროებითი განთავსების საშუალებებით და საკვების უზრუნველყოფით მომსახურებაზე ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსის ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2021 წლის თებერვალთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
I	**სულ**	**111.0**	**10.99**
55	მომსახურება დროებითი განთავსების საშუალებებით	109.7	6.25
56	მომსახურება საკვების და სასმელების მიწოდებით	112.2	4.74

*რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი. ტელ: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge